ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № „28“

ქ. ბათუმი „15“ 01, 2015 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 10[1], პუნქტი 3, „თ“ ქვეპუნქტი) და **საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების** შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი აპარატის უფროსის რამაზ ბოლქვაძის სახით ერთი მხრივ და შ.პ.ს. „იბერია ტექ ავტომოტივი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის გიორგი დაშნიანის (პირადი ნომერი №61001012606, მინდობილობის გაცემის თარიღი: 12.01.2015 წელი. მინდობილობის ასლი თან ერთვის ხელშეკრულებას) სახით მეორე მხრივ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული ხუთი წლის ჩათვლით წლოვანების „მიცუბისი აუტლანდერი“ (სახ. №SCA 505) მარკის მსუბუქი მაღალი გამავლობის და მიკროავტობუსი „ფორდ ტრანზითი“ (ავტობუსი, 17+1 ადგილი – სახ. №SC 502 AU) მარკის ავტომანქანებისათვის საბურავების შესყიდვა – **CPV კოდი: 34351100.**

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, „მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს „შემსყიდველს“ უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული ხუთი წლის ჩათვლით წლოვანების „მიცუბისი აუტლანდერი“ (სახ. №SCA 505) მარკის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომანქანისათვის „225/70R16 102H TL Barum Bravuris 4X4“ მარკის საბურავები, ოთხი ცალი და მიკროავტობუსი „ფორდ ტრანზითი“ (ავტობუსი, 17+1 ადგილი – სახ. №SC 502 AU) მარკის ავტომანქანისათვის „185/75R16C 104/102R TL Barum Vanis 2“ მარკის საბურავები, ექვსი ცალი (შემდგომში „საქონელი“) და უზრუნველყოს თანმდევი ტექნიკური მომსახურებების გაწევა (საბურავების შეცვლა, ბალანსირება, წნევის გაზომვა და ა.შ.), ხოლო „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი „საქონელი“, ასევე თანმდევი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. საქონლის მიწოდების წესი, ვადები, ღირებულება და ანგარიშსწორება

2.1. შესასყიდი საქონელის მიწოდება და თანმდევი ტექნიკური მომსახურებების გაწევა მოხდება მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **არაუგვიანეს 2015 წლის 20 თებერვლამდე პერიოდში,** შემსყიდველის (კოორდინატორის) მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს ერთი დღის ვადაში.

2.2. შესასყიდი საქონელის მიწოდება და თანმდევი მომსახურების გაწევა მოხდება მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ჭავჭავაძის ქუჩა №21.

2.3. შესასყიდი საქონლის რაოდენობაა: „225/70R16 102H TL Barum Bravuris 4X4“ მარკის საბურავი – 4 (ოთხი) ცალი, „185/75R16C 104/102R TL Barum Vanis 2“ მარკის საბურავი – 6 (ექვსი) ცალი, სულ 10 (ათი) ცალი.

2.4. შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი თანმდევი მომსახურებით შეადგენს:

ა) „225/70R16 102H TL Barum Bravuris 4X4“ მარკის საბურავი (ერთი ცალი) – **240 (ორას ორმოცი)** ლარს;

ბ) „185/75R16C 104/102R TL Barum Vanis 2“ მარკის საბურავი (ერთი ცალი) – **210 (ორას ათი)** ლარს.

2.5. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2220 (ორიათას ორას ოცი)** ლარს.

2.6. საქონელი, ასევე შესრულებული თანმდევი მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების, მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტების ელექტრონული სახით წარმოდგენის და წარმოდგენილ საანგარიშსწორებო დოკუმენტებზე შემსყიდველის მიერ თანხმობის მიცემის, დადასტურების შემდეგ, რის შემდეგაც არაუგვიანეს ოცი სამუშაო დღისა, ფაქტობრივად მიღებული საქონლის რაოდენობისა და შესრულებული თანმდევი მომსახურების მოცულობის გათვალისწინებით მოხდება ანგარიშსწორება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს „შემსყიდველს“ საქონელი ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში;

ბ) უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ შესასყიდი საქონლის დროულად მიწოდება, ასევე თანმდევი მომსახურების დროულად და ხარისხიანად შესრულება, დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

გ) შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს საქონლის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად დაწუნებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

დ) შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს თანმდევი მომსახურების მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული მომსახურების ხარისხიანად და დროულად შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

3.2. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას მიწოდებული საქონლის ხარისხზე და დიაგნოსტიკის დასმაზე.

3.3. **„მიმწოდებელს“ უფლება აქვს** მოითხოვოს ფაქტობრივად მიწოდებული და ჩაბარებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში.

3.4. **„შემსყიდველი“ ვალდებულია** მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში.

3.5. **„შემსყიდველს“ უფლება აქვს:**

ა) მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ საქონლის მიწოდება და თანმდევი მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში;

ბ) მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ საქონლის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად დაწუნებული საქონლის შეცვლა, თანმდევი მომსახურების მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული მომსახურების ხარისხიანად და დროულად შესრულება, დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით ან კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.2. მიმწოდებლის მიერ არასათანადო ხარისხის საქონელის მიწოდების და უხარისხო თანმდევი მომსახურების გაწევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მიმწოდებელს.

5. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

5.1. „შემსყიდველს" უფლება აქვს, თავისი წარმომადგენლის (კოორდინატორის) მეშვეობით, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რაც გულისხმობს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე შესასყიდი საქონელის და თანმდევი ტექნიკური მომსახურების ხარისხის კონტროლს.

5.2. ინსპექტირების განხორციელებაზე და უმაღლესი საბჭოს მხრიდან მიღება – ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი პლატონ მანჯგალაძე და ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტი ზვიად ფარტენაძე.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

6.2. ხელშეკრულება მოქმედებს **2015 წლის 31 მარტამდე.**

7. ზოგადი დებულებები

7.1. ხელშეკრულების პირობებში გადახრა ან ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.2. შესასყიდი საქონლის ფასი თანმდევი მომსახურებით ფიქსირებულია წინამდებარე ხელშეკრულებით და შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს ხუთი კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7.6. მხარეები თანხმდებიან, რომ ურთიერთობები, რომლებიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, უნდა დარეგულირდეს საქართველოს კანონმდებლობით.

7.7. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შემთხვევაში ხელშეკრულება მოქმედებს ჯარიმის თანხის სრულად დაფარვის მომენტამდე, ანგარიშსწორების ნაწილში საბოლოო ანგარიშსწორებამდე.

7.8. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 2.5. პუნქტით განსაზღვრული ჯამური ღირებულების მთლიანად აუთვისებლობის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს, აღნიშნულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებად ჩაითვლება ფაქტიურად ათვისებული თანხა, რაც ცალკე წერილობით შეთანხმებას აღარ საჭიროებს.

7.9. მხარეები თანხმდებიან, რომ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

7.10. მხარეები თანხმდებიან, რომ თითოეული მხარე კისრულობს ვალდებულებას კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.11. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლიარად და სამივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, აქედან ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო მესამე ეგზემპლარი „მიმწოდებელთან".

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, „ფორს-მაჟორული" გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება „ფორს-მაჟორული" გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ინტერესთა კონფლიქტი

9.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და კოორდინატორი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

10. დავათა განხილვის წესი

10.1. მხარეები ვალდებული არიან შეეცადონ ყოველგვარი დავა გადაჭრან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. თუ მხარეები ვერ გადაჭრიან დავას ურთიერთშეთანხმების გზით, დავა განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის	შ.პ.ს. „იბერია ტექ ავტომოტივი"
უმაღლესი საბჭო	
მის.: დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის ქუჩა №25	მის.: იურ. ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქუჩა
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის	მის.: ფაქტ. ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №21
სამინისტროს სახაზინო სამსახური	საიდენტიფიკაციო კოდი: 236 093 473
სახაზინო ანგარიშის № GE62TB7901736010100015	მიმღების ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749	ცენტრალური ფილიალი
მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი"	ბანკის კოდი: BAGAGE22
ბანკის კოდი: TBCBGE22	ანგარიშის № GE29BG0000000153512100
აპარატის უფროსი	**დირექტორის მინდობილი პირი**
_____ რ. ბოლქვაძე	_____ გ. დაშნიანი

#

მინდობილობა

ქ. ბათუმი 12 იანვარი 2015 წ.

შპს "იბერია ტექ ავტომოტივი" (შემდგომში - „მიმნდობი") უფლებამოსილებას ანიჭებს ბიზორბი ნაშრიანს (პირადი ნომერი:61001012606) მასზედ, რომ მინდობილი იყოს მიმნდობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი და დაიცვას მიმნდობის კანონიერი ინტერესები საჯარო და კერძო პირებთან ურთიერთობისას, მიმნდობის სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები, ხელი მოაწეროს ნებისმიერ გასაფორმებელ ხელშეკრულებას თუ დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც უკავშირდება წინამდებარე დავალებას.

მინდობილობა გაცემულია 1 თვის ვადით.

შპს "იბერია ტექ ავტომოტივის"-ს დირექტორი:

ლაშა მიგინეიშვილი

[Type text]